ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

ბრძანება:**ბ49.49210362**

თარიღი:**05/02/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რიგი პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის მოხელის კლასის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–5 მუხლის მე–6 პუნქტის, მე–10 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის, 57–ე მუხლის მე–3 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებით დამტკიცებული შეფასების წესისა და პირობების მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის, მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე–4 მუხლის, მე–5 მუხლისა და აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2021 წლის 26 იანვრის N 49-49210263 წარდგინების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემდეგ პროფესიულ საჯარო მოხელეებს მიენიჭოს მოხელის პირველი კლასი. :

   1) კობა გურეშიძეს - საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (აპარატის უფროსი);

   2) ხათუნა კვაბზირიძეს – საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს;

   3) იუზა ჯიქიას – საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს;

   4) ტარიელ ჭეიშვილს - ლოჯისტიკის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს მითითებულ პროფესიულ საჯარო მოხელეებზე, მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, სარგოს დანამატის–

საკლასო დანამატის გაცემა თანამდებობრივი სარგოს 1%–ის ოდენობით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს კობა გურეშიძეს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი